ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 3-19/01180332788-17

"28." 03. 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, ქუჩა სოხუმი, №4-ნა-ში (საკ. კოდი №01.13.06.015.012) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (II სექტორიში მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, საოფისე, სავაჭრო) „ა", „ბ" და „გ" ბლოკები – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2741919 27.07.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ სექტორი დიდუბე, ქუჩა სოხუმი, №4-6ა-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადებზე აივნის ფილები ნაწილობრივ მოსაპირკეთებელია, ხოლო კარ-ვიტრაჟების ძირები ნაწილობრივ შესავსებია. ლითონის მოაჯირების ნაწილი შესაღებია. ფასადებზე კედლების ნაწილი მოსაპირკეთებელია, ნაწილობრივ ფასადების ღებვა არ შეესაბამება საპროექტოს. ღიობებზე ნაწილობრივ დამატებულია ლითონის ცხაურები. სახურავზე მდებარე კიბის უჯრედებზე ღიობებში გაუქმებულია ფრამუგები.

„1-14" ფასადი: ფასადზე დამატებულია საჩრდილობლები. აივნებზე ნაწილობრივ დამატებულია ტიხრები. +8.25 ნიშნულზე საპროექტო საჩრდილობლების გაბარიტები შეცვლილია. „1" ღერძის გარეთ მდებარე აივნებზე +23.85 ნიშნულიდან +40.35 ნიშნულამდე კედლების სიმაღლე შემცირებულია, ხოლო +51.05 ნიშნულზე გაუქმებულია. +51.05 ნიშნულზე „1-4" მონაკვეთში გაუქმებულია მსუბუქი კონსტრუქციის გადახურვა. „11-12" მონაკვეთში +4.60 ნიშნულზე ტერასა შევსებულია და მოწყობილია შიდა ფართი.

„კ-ბ" ფასადი: +0.00 ნიშნულზე და ქვევით გაუქმებულია მოაჯირები, ხოლო „თ" ღერძთან გაუქმებულია კიბის საფეხურები. „ზ¹-ე" მონაკვეთში +4.60 ნიშნულზე დამატებულია ღიობი, გამწოვი და კონდიციონერი, ხოლო მის ზევით დამატებულია ერთი გამწოვი. „კ-ი" მონაკვეთში +7.35-დან +27.15 ნიშნულამდე გაუქმებულია მოაჯირები. +37.05 ნიშნულზე „ზ¹-ზ" მონაკვეთში მდებარე აივნის მოაჯირის მასალა შეცვლილია და გაუქმებულია კაპიტალური კედელი. „ი-თ" მონაკვეთში +27.15 ნიშნულზე შემცირებულია ვიტრაჟის გაბარიტი. +40.35 ნიშნულის ზევით „ზ¹-ზ" მონაკვეთში მინაბლოკის ნაცვლად მოწყობილია ვიტრაჟები, ხოლო მათ ნაწილზე დამატებით ლითონის მოაჯირები.

„ა-კ" ფასადი: „გ" ღერძზე გაუქმებულია წყალშემკრები მილი. „გ-დ" მონაკვეთში დამატებულია გამწოვი. „ი-კ" მონაკვეთში +23.85 ნიშნულის ქვევით ვიტრაჟებზე გაუქმებულია მოაჯირები. +4.80 ნიშნულზე „თ-კ" მონაკვეთში დამატებულია აივნები.

„14-1" ფასადი: ვიტრაჟების ნაწილზე გაუქმებულია ლითონის მოაჯირები. „9-4" მონაკვეთში +0.00 ნიშნულზე მოაჯირის მასალა შეცვლილია. +4.80 „11-10" მონაკვეთში დამატებულია აივანი. „13-11" მონაკვეთში +43.65 და +46.95 ნიშნულებზე მდებარე აივნები გაუქმებულია და მოწყობილია შიდა ფართი. შეცვლილია „8-7" მონაკვეთში +53.55 ნიშნულზე კიბის უჯრედის კედლის ფორმა, ხოლო „4-3" მონაკვეთში მდებარე კიბის უჯრედის გადახურვაზე ფიქსირდება ლითონის ნაშვერები. ამავე ნიშნულზე „3" ღერძზე დამატებით მოწყობილია რიგელი. „1" ღერძის გარეთ +50.25 ნიშნულზე მოწყობილია მცირე ზომის ფილა, ქვედა ფილის ანალოგიურად.

-2.90 ნიშნული: იატაკის ფილის სისქე ნაწილობრივ გაზრდილია. კოლონების ნაწილი მოჩარჩოებულია, ხოლო ნაწილი კოლონებისა გაერთიანებულია და შეცვლილია მათი კვეთი. კოლონების ადგილმდებარეობა ნაწილობრივ არ ემთხვევა საპროექტოს.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

„ა'' ღერძზე მდებარე კოლონებს მონაცვლებული აქვთ ადგილი „ა" ღერძისკენ. „კ-ი" მალის სიგრძე შემცირებულია. „13-14" მონაკვეთში „ზ" ღერძზე მდებარე კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი. „გ" ღერძზე მდებარე კარები გაუქმებულია. „10-11" მონაკვეთში საავტომობილო პანდუსის სიგანე შემცირებულია. მონოლითური კედლების მოწყობა ნაწილობრივ არ შეესაბამება საპროექტოს, შენობის პერიმეტრზე შემცირებულია მათი სიმაღლე. „ი'' ღერძის მიმდებარედ „9-10" მონაკვეთში კედელი შესავსევია.

+0.00 და +2.40 ნიშნული: ტერიტორიის კეთილმოწყობა დასასრულებელია. „10-14" და „კ-ზ" მონაკვეთში შემცირებულია ფილის გაბარიტი. „ბ" ღერძის გარეთ შემცირებულია საფეხურების რაოდენობა. „5-7" მონაკვეთში მოწყობილია პანდუსი. „7" და „8" ღერძებზე მდებარე პანდუსების პროცენტული დახრა აღემატება დასაშვებ ნორმებს და შეადგენს 15%-ს. „11-12" მონაკვეთში გაუქმებულია პანდუსი. „ი" ღერძის გარეთ „5-10" მონაკვეთში დამატებულია კოლონები და რიგელები და შენობის კონსტრუქცია ნაწილობრივ გაძლიერებულია. „4-თ" ღერძების კვეთზე მდებარე პანდუსის სიგრძე შემცირებულია, შეცვლილია დახრა და შეადგენს 12%-ს. ანტრესოლების ნაწილი, ასევე კიბის საფეხურების ნაწილი არ არის მოწყობილი. შეცვლილია მათი ნაწილის გაბარიტი და ფართი. აღნისნული ანტრესოლების კიბეების ადგილმდებარეობა და საფეხურების რაოდენობა ნაწილობრივ შეცვლილია.

„კ" ღერძზე დამატებით მოწყობილი რკინა-ბეტონის კონსტრუქცია ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე მუხლის, ა.ს.კ. მე-2 მუხლის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 62-ე მუხლის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ'' ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ'' ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ'' ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ'' ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ი.ბ.ა. „სოხუმის 4''-ს, ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, ქუჩა სოხუმი, №4-ნა-ში (საკ. კოდი №01.13.06.015.012) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (II სექტორიში მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, საოფისე, სავაჭრო) „ა'', „ბ'' და „გ'' ბლოკები – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01180332788-17 02.02.2018წ. განცხადება.
№წ-19/01180332788-17 05.02.2018წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე